კონცეფციის ბარათი (საინვესტიციო პროექტების მართვის მეთოდოლოგია)

საჭირო ინფორმაცია	პასუხი	მტკიცებულებათა წყარო დამატებითი კომენტარები
A. ძირითადი ინფორმაცია		
1. პროექტის დასახელება	**საზვავე სისტემა კობის ახალი სასრიალო არეალისათვის**	
2. პროექტის წარმდგენი მხარეჯავი დაწესებულება/უწყება	**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო**	
3. პროექტზე პასუხისმგებელი პირი	**შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ დირექტორი თეიმურაზ გამცემლიძე**	
4. პროექტზე და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული	**შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“**	
5. სტრუქტურულ ერთეულში პროექტზე პასუხისმგებელი პირი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	**შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ დირექტორი თეიმურაზ გამცემლიძე**	
B. პროექტის არსი და მისი განხორციელების საჭიროების შეფასება		
a. *ინტერვენციის ლოგიკა*		

საჭირო ინფორმაცია	პასუხი	მტკიცებულებათა წყარო დამატებითი კომენტარები
6. აღწერეთ ის კონკრეტული პრობლემა, რომლის საპასუხოდაც არის მიმართული პროექტი და განსაზღვრეთ აღნიშნული პრობლემის სიმძიმე.	საქართველოში ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ტურიზმის განვითარება. დიდი ყურადღება ეთმობა სამთო კურორტებზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას და ახალი კურორტების მშენებლობას, რომელთა შორისაა გუდაურის სამთო სათხილამურო კურორტის განვითარება და მასში სოფელ კობის ჩართვა. გუდაური-კობის ახალი სასრიალო ტრასები და ინფრასტრუქტურა განიცდის ზვავების გავლენას, რაც იწვევს კურორტით მოსარგებლების და ოპერატორების არასაკმარის უსაფრთხოების დონეს, ინფრასტრუქტურის შესაძლო ზიანს და ეკონომიკურ ზარალს. ამ პრობლემის გამო კურორტს არ აქვს შესაძლებლობა მაქსიმალურად იყოს დატვირთული და უსაფრთხო იყოს ტურისტებისათვის.	

საჭირო ინფორმაცია	პასუხი	მტკიცებულებათა წყარო დამატებითი კომენტარები
7. განმარტეთ, თუ როგორ მოახერხებს პროექტი განსაზღვრული პრობლემის შემსუბუქებას.	ზვავების მართვა ითვალისწინებს საზვავე უბნებზე უწყვეტ მონიტორინგს, პროგნოზირებას და მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების შემცირების მიზნით ზვავის ხელოვნურად ჩამოშვებას, რაც იძლევა "დროის განკარგვის" საშუალებას და უზრუნველყოფს ადამიანების, არსებულ ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებას და გასაწმენდი თოვლის მოცულობის მინიმუმამდე დაყვანის საშუალებას. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე საზვავე სისტემის განლაგება/მონტაჟი განუყოფელი ნაწილი არის კობი-გუდაურის მასშტაბური პროექტის და რომლის სრულყოფილად ფუნქციონირება მხოლოდ მისი დამონტაჟების შემდგომ იქნება შესაძლებელი, რომელიც გაზრდის ზამთრის სეზონის განმავლობაში საბაგირო კომპლექსის მუშაოების პერიოდს.	

საჭირო ინფორმაცია	პასუხი	მტკიცებულებათა წყარო დამატებითი კომენტარები
8. დაასაბუთეთ სახელმწიფო ინტერვენციის საჭიროება, საბაზრო ჩავარდნის ან კაპიტალთან დაკავშირებული პრობლემების განსაზღვრით, რომელთა საპასუხოდაც არის მიმართული პროექტი.	ამ პროექტთ გათვალისწინებული მშენებლობის მასშტაბი საკმაოდ დიდია და კერძო სექტორს არ გააჩნია შესაბამისი გამოცდილება, აღნიშნული დიდი ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად საჭიროა სახელმწიფოს ინტერვენცია.	
9. ჩამოთვალეთ პრობლემის აღმოფხვრისთვის შემუშავებული ყველა ალტერნატიული გზა, გარკვეული პოლიტიკის გატარების ჩათვლით, რომლებიც არ საჭიროებენ ინვესტიციებს.	რეგიონის რელიეფიდან გამომდინარე, საკმაოდ რთულია ამ პრობლემის ალტერნატიული გადაწყვეტა.	
b. *საჭიროებების შეფასება*		
10. განსაზღვრეთ პროექტის განხორციელების შედეგად სარგებელის მიმღები საბოლოო ბენეფიციარების კონკრეტული სამიზნე ჯგუფი.	პროექტის განხორციელების შედეგად სარგებელს ნახავს და უსაფრთხოდ იქნება: • კურორტის ვიზიტორები და მოთხილამურეები; • ადგილობრივი მოსახლეობა; • ტერიტორიაზე გამვლელი სატრანსპორტო საშუალებები. • ქვეყანა აიცილებს თავიდან ბუნებრივი კატაკლიზმებით გამოწვეულ რისკებს.	

საჭირო ინფორმაცია	პასუხი	მტკიცებულებათა წყარო დამატებითი კომენტარები
11. განსაზღვრეთ პროექტით გათვალისწინებული მომსახურების საბოლოო მომხმარებლების დაახლოებითი რაოდენობა, საზომი ერთეულის მითითებით (მაგ: ერთ მოსახლეზე, ერთ ოჯახზე, საწარმოზე).	პროექტის განხორციელების შემდეგ შესაძლებელი იქნება გუდაური-კობის ახალ იდენტიფიცირებულ სასრიალო ტრასებზე მოსრიალეთა უსაფრთხოდ სრიალი და სასრიალო ტრასების საზვავე საშიშროების მიზეზით დაკეტვის საათების შემცირება და მინიმუმამდე დაყვანა. პროექტის მიზანია უსაფრთხოების მაქსიმალური შედეგის მიღწევა კურორტით მოსარგებლეებისა და არსებული ინფრასტრუქტურისთვის.	
12. განსაზღვრეთ პროექტით გათვალისწინებულ მომსახურებაზე არსებული ფიზიკური მოთხოვნა და მისი ზრდის ტემპი, საზომი ერთეულ(ებ)ის მითითებით (მაგ: კუბური მეტრი წყალი დღეში, სატრანსპორტო მოძრაობა დღეში და სხვა).	ალპური რელიეფის და 3000მ-ზე მეტი სიმაღლის მდებარეობის გამო, ახალი სასრიალო ადგილი აშკარად და უაღრესად განიცდის ზვავების გავლენას, ხელმისაწვდომი კვლევები აჩვენებს რომ ორივე: გზაც და მდინარეც შესაძლებელია რეგულარულად გადაიკეტოს თოვლის ზვავის გამო,ზოდოს საზვავე ნაკადს შეუძლია წარმოქმნას მასიური მკვრივი ნაკადი და თოვლის ჭავლის ღრუბლები, საწყისი უბნის ძალიან დიდი ზომის გამო (დაახ 1 კვ.კმ). 1996 წლიდან 2012 წლამდე ამ ზვავის 65 შემთხვევაა დაფიქსირებული, რამაც 52-ჯერ გადაკეტა მოძრაობა, საშუალოდ 4-ჯერ ზამთარში! ამ ზვავს დანამდვილებით შეუძლია ამოავსოს მდინარის კალაპოტი და თოვლის ჭავლის ღრუბლებმა გავლენა იქონიოს მოპირდაპირე ნაპირზე.	
13. განსაზღვრეთ საპროექტო ობიექტების ფიზიკურისიმძლავრე/გამტარობა, საზომი ერთეულ(ებ)ის მითითებით (მაგ: კუბური მეტრი წყალი დღეში, სატრანსპორტო მოძრაობა დღეში, ან გამოყენებადი სივრცის კვადრატული მეტრი).	ასაფეთქებელი მასალის წონა 2.2 კგ (2.75 კგ ტროტოლის ექვივალენტი). ასაფეთქებელ მასალას აქვს თვით-ნეიტრალიზების უნარი არაუმეტეს-48 საათში. სროლის ჰორიზონტალური დისტანცია 2500 მ.სასროლი მოწყობილობა წარმოადგენს ხელით სასროლ მუხტს (არა ნაკლებ 2.7 ტროტილის ეკვვალენტისა), რომელიც შედგება ფეთქი ნივთირებით, ინიციატორით, დეტონატორით, მართვის პულტით და ზონარით (არა ნაკელებ 30 მ) ასაფეთქებელ მასალას აქვს თვით-ნეიტრალიზების უნარი არაუმეტეს 48 საათში.	
c. *პროექტის არსი*		

საჭირო ინფორმაცია	პასუხი	მტკიცებულებათა წყარო დამატებითი კომენტარები
14. აღწერეთ პროექტი და მისი კომპონენტები და განმარტეთ მათი კომპლექსური გადაწყვეტილება.	2018 წელს შესრულდა კვლევა: "კობი-გუდაურის სამთო-სათხილამურო არეალების დამაკავშირებელი მაგისტრალური სასრიალო ტრასების გამართულად და უსაფრთხოდ ფუნქციონირებისათვის აუცილებელი საინჟინრო-ტექნიკური უზრუნველყოფის ობიექტები და საინჟინრო-ტექნოლოგიური ალტერნატივები, Engineerisk/გეოგრაფიკი, 17.04.2018" (იხ. ტექნიკურ დავალებასთან ერთად წარმოდგენილი დოკუმენტაცია). კვლევაში შესწავლილია გუდაური-კობის ახალი სათხილამურე სასრიალო მონაკვეთის თოვლსაზვავე უბნების სიტუაცია და მოსალოდნელი შედეგების შემსუბუქების ღონისძიებების სარეკომენდაციო სპექტრი; რის უზრუნველსაყოფადაც უნდა განხორციელდეს ზვავების მართვის (ხელოვნური ჩამოშვების) სამუშაოები. ზვავების მართვა ითვალისწინებს საზვავე უბნებზე უწყვეტ მონიტორინგს, პროგნოზირებას და მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების შემცირების მიზნით ზვავის ხელოვნურად ჩამოშვებას, რაც იძლევა "დროის განკარგვის" საშუალებას და უზრუნველყოფს ადამიანების, არსებულ ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებას და გასაწმენდი თოვლის მოცულობის მინიმუმამდე დაყვანის საშუალებას. საზოგადოების უსაფრთხოება - შემოთავაზებული ზვავების მართვის სისტემის მუშაობა და განხორციელება უზრუნველყოფს მშენებლობის/კვლევითი სამუშაოების პერსონალის,კურორტით და მიმდებარე ყველა ტიპის (მათ შორის დამხმარე სამშენებლო და სეზონური/თოვლიანი საკურორტო საექპლოატაციო) სამანქანო (მათ შორის თოვლის ტრანსპორტი და მექანიზაცია) გზებით მოსარგებლეების, ზვავების სისტემის მშენებლობისა და ექპსლოატაციის მუშა პერსონალის,ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვაზე პასუხისმგებელი პირების და სხვა ყველა ჩართული პირის უსაფრთხოებას.	
C. პროექტის სტრატეგიული მნიშვნელობა		

საჭირო ინფორმაცია	პასუხი	მტკიცებულებათა წყარო დამატებითი კომენტარები
15. აღნიშნეთ სახელმწიფოს სტრატეგიულ მიზნებთან პროექტის შესაბამისობა და მისი წვლილი ეკონომიკური ერთეულის მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში.	საზვავე სისტემის პროექტის განხორციელება სერიოზულ როლს ითამაშებს კობი-გუდაურის არიალის განვითარებასა და უსაფრთხოებაში. სახელმწიფოსთვის ძალზედ მნიშვნელოვანია აღმოიფხვრეს ზვავებით გამოწვეული სირთულეები კობი-გუდაურის სახელმწიფო დანიშნულების გზაზე.	
D. პროექტის ეკონომიკური მნიშვნელობის წინასწარი შეფასება და ალტერნატივების ანალიზი		
a. *პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები*		
16. მიუთითეთ პროექტის და შესაბამისი ალტერნატიული ვარიანტების განხორციელებისთვის საერთო ინდიკაციური სავარაუდო ხარჯები მიმდინარე ფასებში. აღნიშნეთ ნებისმიერი დაგეგმილი გარემოსდაცვითი შემარბილებელი ღონისძიება. აღწერეთ ხარჯთაღრიცხვების შემუშავების საფუძველი.	კობი-გუდაურის საზვავე სისტემების პროექტის ღირებულება შეადგენს 19 697 008 ლარს. ხარჯების შეფასების საფუძველია წარმოდგენილი წინადადებები კომპანიებიდან, რომლებსაც გააჩნიათ გარკვეული გამოცდილება მსგავსი სისტებების დაყენება/დამონტაჟებაში. ალტერნატივა ამ პროექტს არ აქვს.	
17. განსაზღვრეთ პროექტის შეფასების ეტაპისთვის საჭირო შემდგომი კვლევების სავარაუდო ხარჯები.	ექსპერტიზა	
b. *პროექტის სარგებელი*		
18. განსაზღვრეთ პროექტის განხორციელების შედეგად შექმნილი აქტივების მომხმარებლების ძირითადი სარგებელი.	პროექტის განხორციელების შემდგომ: 1. დაცული იქნება მოსახლეობა, რეგიონში დასაქმებული პერსონალი და ტურისტები ზვავსაშიშროებსაგან; 2. შემცირდება ზვავის გამო სასრიალო არიალის დაკეტვის დრო; 3. შემცირდება გადაადგილების შეზღუდვის დრო საავტომობილო გზაზე.	
19. განსაზღვრეთ ნებისმიერი მნიშვენლოვანი გარე ფაქტორები, ანუ ხარჯები და სარგებელი არა მომხმარებელი ერთეულებისთვის.	1. რეგიონში უსაფრთხოების მაღალი ხარისხი; 2. რეგიონის განვითარებსა შეუწყობს ხელს.	

საჭირო ინფორმაცია	პასუხი	მტკიცებულებათა წყარო დამატებითი კომენტარები
20. განმარტეთ ალტერნატივებს შორის სარგებელის მხრივ ნებისმიერი მნიშვნელოვანი განსხვავება.	) **არაფრის კეთება** - რაც დაუშვებელია საფრთის არსებობის გამო;) **პროექტით გათვალისწინებული ახალი სისტემის დაყენება** - ახალი სისტემის პარამეტრები აკმაყოფილებს საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს, ქმნის უსაფრთხო გარემოს მომხმარებლებისთვის, იძლევა ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდის და ტურისტთა მოზიდვის საშუალებას სხვადახვა ქვეყნებიდან.	
21. განსაზღვრეთ ძირითადი სარგებელი და ხარჯები, რომელთა შეფასება შესაძლებელია მოცემულ ეტაპზე, არამატერიალური სარგებელისა და დადებითი და უარყოფითი გარე ფაქტორების ჩათვლით. განსაზღვრეთ პროექტის რთულად შესაფასებელი დადებითი და უარყოფითი ზემოქმედებები.	) უსაფრთხოება;) ზვავის გამო რეგიონის ჩაკეტვის დროის მინიმუმამდე დაყვანა.	
c. *ეკონომიკური ეფექტიანობა*		
22. წარმოადგინეთ სავარაუდო საინვესტიციო ხარჯების ხარჯთაღრიცხვა ერთ მომხმარებელზე ან საინვესტიციო ხარჯი საბოლოო მომსახურებაზე მოთხოვნის ერთ ერთეულზე.	პროექტზე დაიხარჯება 19 697 008 ლარი. ხარჯი მოთხოვნის ერთეულზე 430 000 ვიზიტორის ფონზე იქნება 19 697 008/430 000=45,81.	
23. აღნიშნული ხარჯები შეადარეთ ალტერნატივების და სხვა უკვე დასრულებული მსგავსი პროექტების ხარჯებს.	მსგავსი პროექტი ჯერ არ განხორციელებულა.	
24. განმარტეთ, თუ რა მიზეზით ღირს მოცემულ პროექტზე სახელმწიფო ხარჯის გაღება, მის ალტერნატივებთან შედარებით (არაქმედების ალტერნატივის ჩათვლით), ხარჯებისა და პოტენციური სარგებელის შესახებ არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით. განსაზღვრეთ პერსპექტიული ალტერნატივები.	რადგან საზვავე სისტემას ალტერნატივა არ აქვს, მისი დაყენება პრიორიტეტულია სახელწიფოსათვის, რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე.	

საჭირო ინფორმაცია	პასუხი	მტკიცებულებათა წყარო დამატებითი კომენტარები
25. აღწერეთ პროექტის ეკონომიკურ ეფექტიანობაზე ზემოქმედების მოსალოდნელი მნიშვნელოვანი რისკები და ვარაუდები. განსაზღვრეთ პროექტის დაგეგმარების დროს გასათვალისწინებელი ნებისმიერი შემარბილებელი ღონისძიება.	რისკები: ❍ პროექტის ღირებულების ცვლილება; ❍ მშენებლობის დასრულების ვადების გაჭიანურება; ❍ პერსონალის კვალიფიკაციის შეუსაბამობა; ❍ არასწორი გათვლები; ❍ პროექტის ზედმეტად ოპტიმისტურად შეფასება; პრევენცია: ❍ პროექტის მიმდინარეობის ვადების და ფინანსური გრაფიკის მაღალი ხარისხის დაგეგმარება, მომზადება და მუდმივი მონიტორინგი.	
E. გავლენა ბიუჯეტზე და ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობა		
26. ასახეთ განხორციელებისა და ოპერირების განმავლობაში პროექტის მოსალოდნელი ბიუჯეტზე ზემოქმედება.	პროეტი ითვალისწინებს ხარჯებს, როგორც საინვესტიციო პერიოდში, ასევე საოპერაციო ეტაპზე. პროექტის განხორციელების შემდეგ საჭირო იქნება სახარჯი მასალის შეძენა(ასაფეთქებელი).	
27. განსაზღვრეთ საბიუჯეტო დაფინანსების გარდა სხვა მოსალოდნელი დაფინანსების წყაროები და მათი სავარაუდო წილი. აღწერეთ დამატებითი დაფინანსების წყაროების უზრუნველყოფის მიზნით საჭირო ქმედებები და გადაწყვეტილებები და მიუთითეთ მათი განხორციელების ვადები.	პროექტის განხორციელებისთვის საბიუჯეტო დაფინანსების გარდა სხვა დაფინანსების წყაროები მოსალოდნელი არ არის. მშენებლობის ეტაპზე პროექტი დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2019 წელს ეტაპობრივად, წინასწარ შეთანხმებული გრაფიკით.	
28. ადგილობრივი მთავრობის ან თვითდაფინანსებაზე მყოფი საჯარო დაწესებულებებისგან დაფინანსების მიღების შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში უზრუნველყავით მათ მიერ განხორციელებული ასიგნების საკმარისობის / შესატყვისობის დამადასტურებელი არგუმენტები.	მოსალოდნელი არ არის ადგილობრივი მთავრობის ან თვითდაფინანსებაზე მყოფი საჯარო დაწესებულებებისგან დაფინანსების მიღების შესაძლებლობა.	
F. განხორციელება		
a. *შესყიდვები*		

საჭირო ინფორმაცია	პასუხი	მტკიცებულებათა წყარო დამატებითი კომენტარები
29. განსაზღვრეთ შესყიდვებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას გასათვალისწინებელი საკითხები.	პროექტის განხორციელება დაგეგმილი საქართველოს მთავრობის შესყიდვის შესახებ შესაბამისი განკარგულების საფუძველზე. შემსყიდველი იქნება შპს მთის კურორტების განვითრების კომპანია, ხოლო მიმწოდებელი გამოვლინდება ტენდერის შედეგად.	
30. აღწერეთ პროექტის ის მახასიათებლები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნება სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მოდელის შერჩევა.*	პროექტის განხორციელება არ იგეგმება სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მოდელის მიხედვით.	
b. *განხორციელების ღონისძიებები და შესაძლო შეზღუდვები*		
31. შეაჯამეთ პროექტის განხორციელების ზედამხედველობის და/ან მართვისთვის გათვალისწინებული ღონისძიებები.	პროექტის სათანადოდ განხორციელებაზე იზრუნებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ხოლო ტექნიკურ მონიტორინგს/ზედამხედველობას განახორციელებს შპს მთის კურორტების განვითარების კომპანია, რომელსაც ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მონიტორინგის ჯგუფები. მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი იქნება კომპანიის დირექტორი თეიმურაზ გამცემლიძე.	

საჭირო ინფორმაცია	პასუხი	მტკიცებულებათა წყარო დამატებითი კომენტარები
32. უზრუნველყავით მტკიცებულება იმისა, რომ პროექტის განხორციელების ზედამხედველობასა და მართვაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციას საკმარისი რესურსი გააჩნია შემოთავაზებული პროექტის მასშტაბის და ტიპის პროექტების განსახორციელებლად, ან მიუთითეთ თუ რა დამატებითი ზომები არის მისაღები აღნიშნულის მისაღწევად.	***სახელმწიფო შპს მთის კურორტების განვითარების კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტები:*** ❍ ხელოვნური გათოვლიანების სისტემის მოწყობა გუდაურსა და ბაკურიანში დიდველზე; ❍ მესტია-ჰაწვალის დამაკავშირებელი საბაგიროს მშენებლობა; ❍ გუდაურში საბაგირო „შინოს“ მშნებლობა; სვანეთის რეგიონის სოფლებში ბიგელის ტიპის საბაგიროების მშენებლობა; ❍ კოხტა-მიტარბის 5 საბაგიროს მშენებლობა; ❍ სამთო ციგის-ტობოგანის მშენებლობა-მონტაჟი ბაკურიანში. ❍ სამი ახალი საბაგირო გუდაურში. ***მიმდინარე პროექტები:*** 2023 წელს ბაკურიანში ფრისტაილის მსოფლიო ჩემპიონატისათვის ინფრასტრუქტურული პროექტები; ხელოვნური რეზერვუარის მშენებლობის დაგეგმარებაზე მუშაობა; სამთო კურორტების პერსონალის პროფესიული მომზადება.	
33. განსაზღვრეთ ნებისმიერი პოტენციური გადასალახი დაბრკოლება, მაგალითად, გარემოსდაცვითი შეზღუდვები ან მიწის შესყიდვასთან დაკავშირებული შეზღუდვები, ან დამატებითი ღონისძიებები, საკანონმდებლო ცვლილებების ჩათვლით, რომლებიც გადაჭრილ უნდა იქნეს პროექტის წარმატებით დასრულებამდე.	პროექტის მინდინარეობის პროცესში არსებული ვითარებიდან გამომდინარე პოტენციური გადასალახი დაბრკოლებები არ არის მოსალოდნელი.	
G. მდგრადი განვითარების საკითხები		
34. განსაზღვრეთ პროექტის განხორციელების შედეგად შექმნილი აქტივის მფლობელი ორგანიზაცია.	შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“	

საჭირო ინფორმაცია	პასუხი	მტკიცებულებათა წყარო დამატებითი კომენტარები
35. დაადასტურეთ, რომ აქტივის ოპერირებასა და შენარჩუნებაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციას საკმარისი ტექნიკური, მენეჯერული და ფინანსური რესურსი აქვს. იმ შემთხვევაში, თუ ეს ასე არ არის, მაშინ განსაზღვრეთ საკმარისი რესურსების მოსაპოვებლად საჭირო ზომები.	დამატებითი რესურსის მოძიება საჭირო არ არის, ვინაიდან შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიას, როგორც პროექტის მომავალ მმართველს ეყოლება კვალიფიციური პერსონალი, რომლებსაც გადაამზადებს პროექტის განმახორციელებელი კომპანია.	
36. აღწერეთ, თუ როგორ მოხდება საექსპლუატაციო და სარემონტო ხარჯების დაფარვა პროექტის დასრულების შემდეგ, გადასახადის მომხმარებელზე დაკისრების ან მომატების ჩათვლით.	საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტების მიმართ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მაღალი დაინტერესებიდან გამომდინარე, კურორტს ეწვევა ბევრი ადგილობრივი და საერთშორისო ვიზიტორი და მოზიდული იქნება მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი. შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“ თავად უზრუნველყოფს მიმდინარე ხარჯების სრულად დაფარვას.	
37. მოკლედ აღწერეთ ნებისმიერი პოტენციურად მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე, რომელიც საჭიროებს დამატებით კვლევებს და განსაზღვრეთ შესაძლო შემარბილებელი ღონისძიებები საჭიროებისამებრ.		
38. მოკლედ აღწერეთ ნებისმიერი პოტენციურად მნიშვნელოვანი სოციალური ზემოქმედება, რომელიც საჭიროებს დამატებით კვლევებს, განსაკუთრებით სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის ხარჯებისა და სარგებელის გამოყოფასთან დაკავშირებული ზემოქმედებები და განსაზღვრეთ შესაძლო შემარბილებელი ღონისძიებები საჭიროებისამებრ.	მოსალოდნელი არ არის, რომ ინვესტიციამ გამოიწვიოს ნებისმიერი მნიშვნელოვანი სოციალური ზემოქმედება, შესაბამისად პროექტი არ საჭიროებს პოტენციურად მნიშვნელოვანი სოციალური ზემოქმედების დამატებით კვლევას.	
H. შემდგომი კვლევებისა და კონსულტაციებისადმი მიდგომა		

საჭირო ინფორმაცია	პასუხი	მტკიცებულებათა წყარო დამატებითი კომენტარები
39. განსაზღვრეთ, რომელი ალტერნატივები გადავა პროექტის შეფასების ეტაპზე და რომელი ალტერნატივები გამოირიცხება წინასწარი შერჩევის შედეგად, ეკონომიკური ეფექტიანობისა და ფინანსურად ხელმისაწვდომობის საკითხების ჩათვლით.	სიცოცხლისუნარიანობისა და ხელმისაწვდომობის გათავლისწინებით რეკომენდირებულია შეფასების ეტაპზე გადავიდეს შემდეგი ალტერნატივები:) არაფრის კეთება) პროექტით გათვალისწინებული ახალი სისტემის მოწყობა	
40. ჩამოთვალეთ შეფასების ეტაპზე გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო დამატებითი კვლევები. იმ შემთხვევაში, თუ შერჩეული ალტერნატივების ჩამონათვალის შემცირების მიზნით აუცილებელია პროექტის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა#, ახსენით მიზეზი.	ალტერნატივების ჩამონათვალის შემცირების მიზნით, დამატებითი კვლევების განხორციელება არ არის საჭირო	
41. განსაზღვრეთ ნებისმიერი საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიენიჭოს შემდეგი კვლევების დროს, მსგავსი პროექტების ექს-პოსტ კვლევების შედეგად მიღებული შედეგების ჩათვლით.	სამუშაოს განხორციელების, პროექტის მიმდინარეობის ხარისხის შემოწმებისა და ხარჯ-ეფექტურობის შეფასების კვლევები.	
42. დაადასტურეთ სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხორციელების საჭიროება და განსაზღვრეთ გასათვალისწინებელი ძირითადი საკითხები.	მოსალოდნელი არ არის სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხორციელების საჭიროება	
43. განსაზღვრეთ გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესრულების სამართლებრივი საფუძველი. მსგავსი საფუძვლის არარსებობის შემთხვევაში, განსაზღვრეთ ნებისმიერი მნიშვნელოვანი უარყოფითი ან დადებითი ეკოლოგიური ეფექტი, რომელიც მიუხედავად სამართლებრივი საფუძველის არარსებობისა, შესაძლოა საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. მოკლედ ჩამოთვალეთ გარემოზე ძირითადი ზემოქმედებები, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს შეფასების პროცესში.		

საჭირო ინფორმაცია	პასუხი	მტკიცებულებათა წყარო დამატებითი კომენტარები
44. განსაზღვრეთ კვლევების განხორციელებისთვის და შეფასების ეტაპზე გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ნებისმიერი სახის, ფორმალური თუ არაფორმალური კონსულტაცია.	საჭიროებისამებრ, შესაძლოა განხორციელდეს შესაბამის ექსპერტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები.	